პედიატრიის დეპარტამენტი

პროფესორი ივანე ჩხაიძე
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი ეკა კანდელაკი

ასოცირებული პროფესორი ნანი ყავლაშვილი

ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაია

ასისტენტ-პროფესორი ქეთევან მათიაშვილი

პედიატრიის დეპარტამენტი

პედიატრიის დეპარტამენტის ისტორია იწყება 1979 წლიდან, როდესაც თსსუ-ში შეიქმნა ბავშვთა სნეულებათა პროპედევტიკის კათედრა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პროფესორი ნოდარ ხერხეულიძე.
ამ პერიოდში კათედრაზე მოღვაწეობდნენ პედაგოგები ეთერ სიჭინავა, ქეთევან ნემსაძე, ლალი ბრეგვაძე, თამარ ავალიშვილი, პაატა ხერხეულიძე, ივანე ჩხაიძე, თემურ ჟორჟოლიანი, თემურ მანძულაშვილი, ნანა საპანაძე. პროფესორი ნოდარ ხერეხეულიძე კათადრას ხელმღვანელობდა გარდაცვალებამდე, 1996 წლამდე.
1996 წელს „ბავშვთა სნეულებათა პროპედევტიკისა“ და „საფაკულტატო პედიატრიის კათედრა“ გაერთიანდა და კათედრის გამგედ არჩეულ იქნა პროფესორი ნინო მანჯავიძე. ამ პერიოდში კათედრაზე მოღვაწეობდნენ პედაგოგები: პროფესორები-

მერი გელოვანი, ლალი ბრეგვაძე, თამარ ავალიშვილი, პაატა ხერხეულიძე, ქეთევან ნემსაძე, გურამ ჩიტაია, როლანდ ვასაძე;
დოცენტები: ლეილა მხეიძე, ეთერ სიჭინავა, გიული მეგრელიშვილი, ლალი ბეიტრიშვილი, ივანე ჩხაიძე;
ასისტენტები: მაია ხერხეულიძე, დავით კვირკველია, ნელი ჯამასპიშვილი, ეთერ ჯაფარიძე, ქეთევან მაყაშვილი, ნანა საპანაძე, თეიმურაზ ჟორჟოლიანი, თინა ღონღაძე და ნანა ცხაკაია;
კათედრის ლაბორანტები: ირმა უბირია, ნინო ადამია, ნანი ყავლაშვილი, ნანა ჯინჭარაძე, დალი მეგრელიშვილი, თეა ფხაკაძე და მზია წიკლაური.
კათედრა სამ ბაზაზე იყო განთავსებული: მ.გურამიშვილის პედიატრიულ კლინიკაში, მ. იაშვილის პედიატრიულ კლინიკაში და გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიულ კლინიკაში.

2007-2009 წლებში კათედრას ხელმძღვანელობდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, პროფესორი ქეთევან ნემსაძე. 2009-2015 წლებში მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნინო მანჯავიძე.
2015 წლიდან პედიატრიის დეპარტამენტის ხელმძღვანელია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ივანე ჩხაიძე.

დეპარტამენტის სამეცნიერო თემატიკის შესახებ

დეპარტამენტის ძირითადი სამეცნიერო თემატიკაა რესპირაციული მედიცინა, ადრეული ასაკის ბავშვის განვითარება, დღენაკლულ ახალშობილებზე მეთვალყურეობა, ალერგიული რინიტი, პედიატრიული ნეფროლოგია და პედიატრიული კარდიოლოგია. დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებულია 800-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათგან 69 შეყვანილია აშშ-ს ეროვნული სამედიცინო ბიბლიოთეკის საძიებო სისტემაში.

დიპლომამდელი განათლება

დეპარტამენტში დიპლომამდელ ეტაპზე პედიატრიის #4 დეპარტამენტში „პედიატრიის“, როგორც დისციპლინის, სწავლებას გადიან მედიცინის ფაკულტეტის IV კურსი (150 სთ), სტომატოლოგიის ფაკულტეტის III კურსი (40 სთ), რეაბილიტაციის ფაკულტეტის III კურსი (24 სთ) და საექთნო ფაკულტეტის II (38 სთ), III (48 სთ), IV (60 სთ) კურსი.

საერთაშორისო თანამშრომლობა

დეპარტამენტის თანამშრომლები არიან ევროპისა და ამერიკის პედიატრთა, რესპირაციული, ალერგოლოგთა და ინფექციოლოგთა, ასევე ნეონატოლოგთა ასოციაციების და აკადემიის წევრები.